ზრუნვის სისტემაში ჩართული ბავშვების ბიოლოგიური მშობლების სიძნელეები და საჭიროებების განსაზღვრა: რეგიონის გამოწვევები

მარიამი ჯაფოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჯაფოშვილი

15.06.2024

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ლექტორს, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფესორს ქალბატონ შორენა სამაგლიშვილს. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.

ასევე, კვლევის კონსულტანს, ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორს, დოქტორ ინგა საითაძეს, კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში კონსულტაციის გაწევისათვის.

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ბიოლოგიური დედების პრობლემების და გამოწვევების დადგენა, რომელთა შვილი(ები) იმყოფება მინდობით აღზრდაში. ნაშრომმა გამოავლინა ის ხარვეზები რომელიც არსებობს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში.

წარმოდგენილია ის სირთულეები და დაბრკოლელებები რომელთა არსებობა სამომავლოდ ხელს უშლის ეფექტურად წარიმართოს რეიტეგრაციის პროცესი, დროის გონივრულ ვადაში განხორციელდეს ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. ჩატარებულია ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები. მთლიანად კვლევაში მონაწილეობას იღებდა 7 რესპონდენტი. კვლევა ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ დედებთან. აქედან მხოლოდ ერთი იმყოფება ამჟამად ემიგრაციაში, კერძოდ:იტალიაში, ხოლო დანარჩენი რესპონდენტები ცხოვრობენ სამცხე-ჯავახეთში.

სოციალური მუშაკების და შესაბამისი სპეციალისტების მიერ, ბავშვის გაყვანის შემდგომ არ ხდება ოჯახის გაძლიერება და საჭირო ღონისძიებების გატარება, პრობლემაზე მუშაობა რამაც გამოიწვია ბავშვის მოხვედრა სახელმწიფო ზრუნაში. შესაბამისად ბავშვები დიდი ხნის განმავლობაში აღარ ბრუნდებიან ბიოლოგიურ ოჯახში. მნივნელოვანია, რომ მშობლების დიდი ნაწილი აცხადებს მზაობას და სურვილს ითანამშრომლოს ზრუნვის სააგენტოსთან.

გამოიკვეთა რის გამო ხდება არასრულწლოვანი ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსება, კვლევიდან ნათლად ჩანს ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული სერვისების სიმწირე. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ზრუნვაში გაყვანის შემდგომი პერიოდი ბიოლოგიური ოჯახებისთვის, გამოჩნდა თუ რამდენად უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის გაყვანის ფაქტი დედების მენტალურ ჯანმთელობაზე. გამოიკვეთა ასევე, რომ სოციალური მუშაკები ჯეროვნად ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, სახელმწიფოში არსებული სერვისების სიმწირის გამო. შესაბამისად არ ხდება ბავშვის ჭეშმარიტი და უპირველესი ინეტერესების გათვალისწინება.

ნაშრომში გამოყენებულია როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი ლიტერატურაც, გამოყენებულია ის ლიტერატურაც რაც დაკავშირებულია ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრასთან. ბოლოს კი წარმოდგენილია რეკომენდაციები რომლის გათვალისწინება ხელს შეუწყობს ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნებას ან/და მის რეიტეგრაციას.

Abstract

The aim of the paper is to determine the problems and challenges of biological mothers living in the Samtskhe-Javakheti region, whose children are in state care. The work revealed the gaps that exist in the child welfare system.

Existence of the difficulties and obstacles prevents future reintegration process to take place effectively, to return children to their biological families in a short period of time. Qualitative research method is used in the research. Semi-structured interviews were conducted. In total, 7 respondents participated in the study, the study was conducted with mothers living in the Samtskhe-Javakheti region. Only one of them is currently in exile, namely in Italy.

After the child taken away, the family is not strengthened and the necessary measures are not taken, work is done on the problem that caused the removal of the child, therefore the children do not return to the biological family for a long time. It is known that a large number of parents declare their willingness and desire to cooperate with the care agency.

The reasons for placement of minor children in state care were identified, the research clearly shows the lack and absence of services focused on strengthening the family. The post-removal period in state care is also important for biological families, it has been shown how much the removal process of the child is related to their mental health. It was also revealed that social workers are not able to perform their duties properly due to the lack of services in the state. Accordingly, the true and primary interests of the child are not taken into account.

Both international and local literature is used in the work, and the literature related to the child's placement in state care is also used. Finally, recommendations are presented, the consideration of which will help to keep the child in the biological family and/or to reintegrate it.